

0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა ACCOUNTING AND TAXATION**შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ ფინანსური შედეგების ანალიზი
2019-2023 წლებში და მათი გავლენა ფინანსური მდგრადობის ძირითად
მახასიათებლებზე**

თინათინ დოლიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
E-mail: tinatin.doliashvili@ciu.edu.ge

რეზიუმე

ბიზნეს სუბიექტის ფინანსების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მასში შემავალი სამსახურებისა და საფინანსო ინფორმაციის მოძრაობის არხების განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ერთობლიობაა, რომელიც ჩატარებული ფინანსური ანალიზის შედეგების მიხედვით უზრუნველყოფს ოპტიმალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ ოპერატიულ შესრულებას. შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს საჭიროა სპეციალური ანალიტიკური ინსტრუმენტების ნაკრების გამოყენება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბიზნეს სუბიექტის ფინანსური ჯანმრთელობისა და მისი ფინანსური არასიჯანსაღის გამოვლენა-შეფასება. ამისათვის ვსარგებლობთ შემდეგი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების ჯგუფებით, ანუ ინდექსებით: ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საქმიანი აქტიურობისა და ფულადი ნაკადების კოეფიციენტები - ინდექსები. შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ ხუთ წლიანი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მასალის გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზნეს სუბიექტის ფინანსური მდგრადობა მისი ფინანსური შედეგების მიხედვით 2019-2023 წლებში დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან აეროპორტები ვითარდება, როგორც ინფრასტრუქტურულად, ისე საქმიანობის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: აეროპორტი, ფინანსური რესურსები, ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საქმიანი აქტიურობისა და ფულადი ნაკადების კოეფიციენტები.

შესავალი

ბიზნეს სექტორში ფინანსების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის კონკრეტული ფორმა დამოკიდებულია მის მასშტაბებსა და სირთულეზე. მცირე ზომის ფირმები კომპაქტური ბუღალტერიის შექმნით კმაყოფილებიან, რომელიც ფირმის ხელმძღვანელობასთან ერთად ფინანსებსაც მართავს. საშუალო და დიდი ზომის ფირმებში კი საკმაოდ ძვირადღირებული, სოლიდური საფინანსო ქვედანაყოფები ფუნქციონირებენ, რომლებიც თავის შემადგენლობაში ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურსაც აერთიანებენ.

ზოგადათ, ფირმის ფინანსების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მასში შემავალი სამსახურებისა და საფინანსო ინფორმაციის მოძრაობის არხების განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ერთობლიობაა, რომელიც ჩატარებული ფინანსური ანალიზის შედეგების მიხედვით უზრუნველყოფს ოპტიმალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ ოპერატიულ შესრულებას.

შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს საჭიროა სპეციალური ანალიტიკური ინსტრუმენტების ნაკრების გამოყენება, რომლითაც შესაძლებელი იქნება კომპანიის ფინანსური ჯანმრთელობისა და მისი ფინანსური არასიჯანსაღის გამოვლენა-შეფასება.

ძირითადი ნაწილი

სპეციალური ანალიტიკური ინსტრუმენტების ნაკრებს მიეკუთვნება შემდეგი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების ჯგუფები, ანუ ინდექსები: ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საქმიანი აქტიურობისა და ფულადი ნაკადების კოეფიციენტები - ინდექსები.

ლიკვიდურობის კოეფიციენტების მეშვეობით ზოგადად იზომება ბიზნესის გადახდისუნარიანობის დონე და ხარისხი [1, გვ. 216]. სიდიდეების გაანგარიშების დროს გამოიყენება აბსოლუტური ფინანსური მაჩვენებელი - წმინდა საბრუნავი კაპიტალი. ლიკვიდურობის ინდექსებს მიეკუთვნება:

- **მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი**
$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \geq 2)$$
- **სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი**
$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}-\text{მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \geq 1)$$
- **აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი**
$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}-\text{მარაგი}-\text{დებიტორული დავალიანება}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \geq 0,5)$$

მიმდინარე, ანუ საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიის მიმდინარე დავალიანებათა (მიმდინარე ვალდებულებები) გასტუმრების ზოგად უნარს.

სწრაფი, ანუ შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს როგორ იფარება კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მაღალლიკვიდური და საშუალო ლიკვიდური მიმდინარე აქტივების მეშვეობით (ფულადი საშუალებები და მიმდინარე მოთხოვნები).

აბსოლუტური ლიკვიდურობის, ანუ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი კი გვიჩვენებს კომპანიის მზადყოფნას დაუყოვნებლივ დაფაროს თავისი მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივების ყველაზე მაღალლიკვიდური ნაწილით, ანუ ფულადი საშუალებებით.

ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) კოეფიციენტები ასახავენ კომპანიის საქმიანობაში საკუთარი და მოზიდული კაპიტალის გამოყენების დონეს, გარდა ამისა, აქტივების დაფინანსების სტრუქტურას [1, გვ. 225, 226]. შესაბამისად, მათი გამოყენებით ვლინდება მოგების გენერირების შესაძლებლობა. ამიტომ, ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს, სხვაგვარად, სტრუქტურის მაჩვენებლები ეწოდება. ისინი გვიჩვენებენ კომპანიის დაფინანსების წყაროებში საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობას და ბალანსის სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთკავშირის მახასიათებლებს. ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება მარტივი აბსოლუტური ფინანსური ინდიკატორი, რომელსაც წმინდა ვალდებულება ეწოდება. მისი გაინგარიშება ხდება შემდეგნაირად:

წმინდა ვალდებულება = მიმდინარე ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები - ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

კომპანიის ფინანსური მდგრადობის, ანუ სტაბილურობის შეფასების ძირითადი ინდექსებია [2, გვ. 447-449, 451]:

- **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** $\left(\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივები}} > 0,5 \right)$
- **მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** $\left(\frac{\text{მოზიდული კაპიტალი}}{\text{აქტივები}} < 0,5 \right)$
- **მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი** $\left(\frac{\text{მოზიდული კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \right)$
- **გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** $\left(\frac{\text{პერმანენტული კაპიტალი}}{\text{აქტივები}} \right)$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის, ანუ ფინანსური ავტონომიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის, ანუ ფინანსური დავალიანების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის საპირისპირო სიდიდეა და გვიჩვენებს დაფინანსების გარე წყაროებზე კომპანიის დამოკიდებულების ხარისხს. ამო ორი კოეფიციენტის სიდიდეთა ჯამი ყოველთვის 1-ის ტოლია.

მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის, ანუ ფინანსირების კოეფიციენტი იძლევა კომპანიის ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) ზოგად შეფასებას და გვიჩვენებს მოზიდული სახსრების მოცულობას საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებით.

პერმანენტული კაპიტალი არის კომპანიის საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ერთობლიობა. შესაბამისად, **გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** გვიჩვენებს დროში გრძელვადიანი სესხით შეძენილი ქონების საკუთარ კაპიტალად ქცევის შესაძლებლობას.

რენტაბელობის კოეფიციენტები გამოხატავენ კომპანიის რესურსების, ანუ მისი ქონების გამოყენებით მიღებული უკუგების დონეს საანგარიშგებო პერიოდის შესაბამისად. მათ **მომგებიანობის კოეფიციენტებსაც** უწოდებენ. ე.ი. რენტაბელობის მაჩვენებლები ახასიათებენ კომპანიის უნარს, რა ხარისხით ხდება მისი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში მოგების გენერირება. ეს კი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს ბიზნესში ავანსირებული კაპიტალის ეფექტიანობას.

აქედან გამომდინარე, **რენტაბელობის კოეფიციენტები** არ ასახავს გრძელვადიანი დაბანდებების საპროგნოზო ეფექტს და ყოველთვის დაკავშირებულია ფინანსური რისკის ალბათობასთან. ისინი არ არის ნორმატიული მაჩვენებლები, ვინაიდან მათი ანალიტიკური გამოყენება გულისხმობს გამოთვლილი კოეფიციენტების მნიშვნელობების შედარებას ბენჩმარკინგული თვალსაზრისით განსაზღვრულ საკონტროლო მაჩვენებლებთან, გასული პერიოდის ანალოგიურ მონაცემებთან, საშუალო დარგობრივ სიდიდეებთან და ა.შ.

რენტაბელობის კოეფიციენტების დაჯგუფება შესაძლებელია **რენტაბელობის მარტივ და ინტეგრალურ, ანუ რთულ კოეფიციენტებათ მარტივი ინდექსი** წარმოადგენს მოგების ფარდობას იმ

მაჩვენებელთან, რომლის რენტაბელობის გამოანგარიშებაც გვსურს. მაგალითად, ხარჯები, რეალიზაცია, აქტივები, კაპიტალი და სხვა, ხოლო **ინტეგრალური ინდექსის** გამოთვლის დროს კომბინირებულად გამოიყენება ორი ან მეტი მარტივი ფინანსური ინდექსი.

რენტაბელობის მარტივი ინდექსებია [2, გვ. 459, 462-464]:

- **ხარჯების რენტაბელობის კოეფიციენტი (ROC – Return on Costs Ratio), %**

$$\left(\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{თვითღირებულება}} \right)$$
- **გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი (ROS – Return on Sales Ratio), %**

$$\left(\frac{\text{წმინდა (საოპერაციო, საერთო) მოგება}}{\text{რეალიზაცია}} \right)$$
- **საოპერაციო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტი (Berry Ratio), %**

$$\left(\frac{\text{საერთო მოგება}}{\text{საოპერაციო ხარჯები}} \right)$$
- **აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი (ROA – Return on Assets Ratio), %**

$$\left(\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო ღირებულება}} \right)$$
- **კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი (ROE – Return on Equity Ratio), %**

$$\left(\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{კაპიტალის საშუალო ღირებულება}} \right)$$
- **ინვესტიციების რენტაბელობის კოეფიციენტი (ROI – Return on Investments Ratio), %**

$$\left(\frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{ინვესტირებული კაპიტალი}} \right)$$

ხარჯების რენტაბელობის ინდექსი ყველაზე ზოგადი ხასიათის კოეფიციენტია და ასახავს მოგების დონეს, რომელიც მიიღება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გაწეული ყველა ტიპის ხარჯის ერთეულზე გაანგარიშებით.

გაყიდვების რენტაბელობის ინდექსი, ანუ კომერციული რენტაბელობა ახასიათებს კომპანიის გაყიდვების შედეგად მიღებული უკუგების დონეს. ხარჯებისა და გაყიდვების რენტაბელობათა მაჩვენებელთან ახლოს არის ისეთი ფინანსური ინდიკატორები, როგორებიცაა ფასნამატი და მარჟა. **ფასნამატი** გვიჩვენებს კომპანიის მიერ გაწეულ თვითღირებულებაზე დანამატს მოგების სახით, ხოლო **მარჟა** გამოხატავს მოგების ხვედრით წილს რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში. ფასნამატის გაანგარიშების დროს ბაზისის წარმოადგენს თვითღირებულება, მარჟის გაანგარიშების დროს კი ბაზისის არის რეალიზაციის სიდიდე.

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{გასაყიდი ფასი} - \text{თვითღირებულება}}{\text{თვითღირებულება}}$$

$$\text{მარჟა} = \frac{\text{გასაყიდი ფასი} - \text{თვითღირებულება}}{\text{რეალიზაცია}}$$

საოპერაციო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტი, ანუ „ბერის“ ფინანსური ინდექსი გვიჩვენებს კომპანიის საერთო მოგებით მისი მმართველობითი და მარკეტინგული ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას.

აქტივების რენტაბელობის, ანუ ეკონომიკური რენტაბელობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების მოგებას უკეთებს გენერირებას საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ გამოყენებული აქტივები. ე.ი. რამდენი ფულადი ერთეული სჭირდება კომპანიას ერთი ფულადი ერთეული მოგების მისაღებად.

კაპიტალის რენტაბელობის, ანუ ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი გვიჩვენებს დამოკიდებულებას მოგებასა და საკუთარ კაპიტალს შორის. კერძოდ, რა სიდიდის წმინდა მოგებას ღებულობს კომპანია კაპიტალის ერთეულის გამოყენებით.

ინვესტიციების რენტაბელობის, ანუ წმინდა აქტივების უკუგების კოეფიციენტი ახასიათებს საოპერაციო საქმიანობაში განივთებული პერმანენტული კაპიტალის გამოყენების დონეს.

რენტაბელობის ინტეგრალური, ანუ რთული ინდექსებია [2, გვ. 466-468]:

- **აქტივების ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROA, %**

$$(ROA = \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{მოგება}}{\text{რეალიზაცია}} \times \frac{\text{რეალიზაცია}}{\text{აქტივები}})$$
- **კაპიტალის ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROE, %**

$$(ROE = \frac{\text{მოგება}}{\text{კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება}}{\text{რეალიზაცია}} \times \frac{\text{რეალიზაცია}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{კაპიტალი}})$$
- **ინვესტიციების ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROI, %**

$$(ROI = \frac{\text{მოგება}}{\text{ინვესტირებული კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება}}{\text{რეალიზაცია}} \times \frac{\text{რეალიზაცია}}{\text{ინვესტირებული კაპიტალი}})$$

აქტივების ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROA იძლევა ალტერნატიული არჩევის საშუალებას აღნიშნულ სიდიდეებს შორის აქტივების შესაბამისი დონის გადიდების ან შეარჩუნების გზების ძიების პროცესში.

კაპიტალის ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROE არის გაყიდვების რენტაბელობის, აქტივების ბრუნვადობისა და კაპიტალის მულტიპლიკატორის ინდექსების ნამრავლი. **კაპიტალის მულტიპლიკატორი** ასახავს კომპანიის აქტივების მოცულობას საკუთარი კაპიტალის ერთეულზე. საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკატორის კოეფიციენტი გამოიყენება სხვა მაჩვენებლებთან კომბინაციაშიც.

ინვესტიციების ინტეგრალური რენტაბელობის ინდექსი - ROI არის გაყიდვების რენტაბელობისა და პერმანენტული კაპიტალის ბრუნვადობის ინდექსების ნამრავლი.

საქმიანი აქტიურობის, ანუ ბრუნვადობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ რამდენად სწრაფად და ეფექტიანად ხორციელდება კომპანიაში საოპერაციო პროცესი.

კომპანიის საქმიანი აქტიურობის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ძირითადი კოეფიციენტები [2, გვ. 472-474]:

- **მიმდინარე აქტივების ბრუნვადობა**
$$\left(\frac{\text{რეალიზაცია}}{\text{მიმდინარე აქტივები}} \right)$$
- **ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობა**
$$\left(\frac{\text{რეალიზაცია}}{\text{ფიქსირებული აქტივები}} \right)$$
- **საკუთარი კაპიტალის ბრუნვადობა**
$$\left(\frac{\text{რეალიზაცია}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \right)$$
- **მოზიდული კაპიტალის ბრუნვადობა**
$$\left(\frac{\text{რეალიზაცია}}{\text{მოზიდული კაპიტალი}} \right)$$

მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების საოპერაციო ციკლში გამოყენების ეფექტიანობის ხარისხს. ე. ი. ერთი ლარის ღირებულების საბრუნავი საშუალებები რამდენ ბრუნვას ასრულებს საანგარიშგებო ციკლის განმავლობაში.

ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ანალიზდება კაპიტალტევადი ბიზნეს სუბიექტის საქმიანი აქტიურობა ზოგადი შეფასების მიზნით. მაჩვენებლის მაღალი სიდიდე მეტყველებს ფიქსირებულ აქტივებში ჩადებული ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენების ხარისხზე. გაანგარიშებისთვის გამოიყენება ფიქსირებული აქტივების სიდიდე ცვეთის გარეშე, ანუ წმინდა ფიქსირებული აქტივების მნიშვნელობა.

საკუთარი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს იმაზე, რომ კრედიტორების წვლილი საოპერაციო საქმიანობაში უფრო მეტად მზარდია, ვიდრე მესაკუთრეებისა.

მოზიდული კაპიტალის მაღალი ბრუნვადობა ნიშნავს საკუთარი კაპიტალის დაბალ ბრუნვადობას და, პირიქით. ისინი ერთმანეთის ტოლი იქნება, ანუ ერთნაირი ტემპით დაბრუნდება, თუკი კომპანიის საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის თანაფარდობა 50/50 იქნება.

ფულადი ნაკადების კოეფიციენტები კომპანიის ფინანსური სტატუსის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტია. ძირითად კოეფიციენტებს მიეკუთვნება [2, გვ. 486- 490]:

- **საფინანსო და საოპერაციო ნაკადების კოეფიციენტი (Extremal Financing Index Ratio)**

$$\left(\frac{\text{წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადი}}{\text{წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი}} \right)$$
- **საოპერაციო ნაკადების გენერირების კოეფიციენტი (Cash Generating Power Ratio)**

$$\left(\frac{\text{წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი}}{\text{წმ. საოპერაციო ნაკ.+წმ. საინვესტიციო ნაკ.+წმ. საფინანსო ნაკ.}} \right)$$
- **ფულადი ნაკადების მარჟის კოეფიციენტი (Cash Flow Margin Ratio, %)**
$$\left(\frac{\text{წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი}}{\text{რეალიზაცია}} \right)$$
- **წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტი (Cash Flow to Net Income Ratio)**

$$\left(\frac{\text{წმინდა ფულადი ნაკადი}}{\text{წმინდა მოგება}} \right)$$

შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტები“-ს 100%-იანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. მისი ბიზნეს სუბიექტად რეგისტრირება მოხდა 2010 წლის 1 ნოემბერს და დაარსების მიზეზი იყო, მომხდარიყო საქართველოში არსებული სამოქალაქო აეროპორტების გაერთიანება ერთიანი „ქოლგის“ ქვეშ მათი ჰარმონიული და სისტემური განვითარების თვალსაზრისით. ამჟამად კომპანიის შემადგენლობაშია 3 მოქმედი საერთაშორისო (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) და 2 შიდა, ანუ ადგილობრივი (მესტია, ამბროლაური) სამოქალაქო აეროპორტი. გარდა ამისა, ყოფილი ზუგდიდისა და ფოთის აეროპორტების მიწის ნაკვეთები და ინფრასტრუქტურა, რომლებიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს და თელავის (შიდა) აეროპორტი, რომლის მშენებლობაც დასრულების პროცესშია.

როგორც ვიცით, იურიდიული პირი ბიზნეს სუბიექტის ვალდებულებას ყოველწლიურად მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, რომლის მონაცემებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მიღებული ფინანსური შედეგების ანალიზის განხორციელება და ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური მდგრალობის, ანუ სტაბილურობის დადგენა.

შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ მენეჯმენტი ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას IFRS (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) სტანდარტებისა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ანალიტიკური მახასიათებლები 2019-2023 წლებში

ცხრილი 1

მაჩვენებლები	2019	2020	2021	2022	2023
1. სულ გრძელვადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	373,874	363,322	378,703	344,537	351,839
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	84,20	90,27	88,35	83,90	80,41
დინამიკა (%)	100	97,20	104,20	91	102,20
2. სულ მოკლევადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	70,265	39,175	49,870	66,182	85,693
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	15,80	9,75	11,65	16,10	19,59
დინამიკა (%)	100	55,75	127,30	132,70	134,66
2ა) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (მლნ. ლარი)	59,596	28,138	40,062	55,502	74,740
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	13,42	7,00	9,35	13,51	17,08
დინამიკა (%)	100	47,21	142,38	138,54	134,66
2ბ) დებიტორული დავალიანება (მლნ. ლარი)	9,57	9,923	8,492	9,671	9,959
ხვედრითი წილი აქტივებში (%)	2,15	2,47	1,98	2,35	2,28
დინამიკა (%)	100	103,69	85,58	113,88	102,98
3. სულ აქტივები (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,573	410,719	437,532
4. სულ საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	295,905	259,559	278,599	310,632	352,969
ხვედრითი წილი ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალში (%)	66,60	64,50	65,0	75,65	80,67
დინამიკა (%)	100	87,70	107,35	111,50	113,63
5. სულ გრძელვადიანი ვალდებულებები (მლნ. ლარი)	136,175	107,404	103,575	90,439	70,438
ხვედრითი წილი ვალდებულებებში (%)	91,80	75,15	69,05	90,35	83,27
დინამიკა (%)	100	78,87	96,43	87,32	77,88
6. სულ მოკლევადიანი ვალდებულებები (მლნ. ლარი)	12,159	35,534	46,399	9,648	14,125
ხვედრითი წილი ვალდებულებებში (%)	8,20	24,85	30,95	9,65	16,73
დინამიკა (%)	100	292,24	130,58	20,79	146,40
7. სულ ვალდებულებები (მლნ. ლარი)	148,334	142,938	149,974	100,087	84,563
ხვედრითი წილი ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალში (%)	33,40	35,50	35,0	24,35	19,33
დინამიკა (%)	100	96,35	104,90	66,73	84,49
8. სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,513	410,719	437,532
დინამიკა (%)	100	90,60	106,50	95,85	106,53
ფინანსური მდგრალობის (სტაბილურობის) კოეფიციენტები					
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (სტრ.4/სტრ.3)	0,66	0,64	0,65	0,75	0,81
მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.3)	0,33	0,35	0,34	0,24	0,19
მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.4)	0,50	0,55	0,54	0,32	0,24

ცხრილი 1-ის გაგრძელება

გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ((სტრ.4+სტრ.5)/სტრ.3))	0,97	0,91	0,89	0,98	0,97
ლიკვიდურობის კოეფიციენტები					
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.2/სტრ.6)	5,78	1,10	1,07	6,86	6,07
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.(2+2ბ)/სტრ.6)	5,69	1,07	1,05	6,76	6,00
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სტრ.2ა/სტრ.6)	4,90	0,79	0,86	5,75	0,07

წყარო: SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება (2019- 2023 წლები)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბალანსის სტრუქტურა ხუთწლიან მონაკვეთში ხასიათდებოდა როგორც ზრდის, ისე შემცირების ტენდენციით. განსაკუთრებული ვარდნა დაფიქსირდა კოვიდ პანდემიის დროს, ანუ 2020 წელს. რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის (სტაბილურობის) კოეფიციენტებს, რომლებიც ნორმის ფარგლებშია, ამ შემთხვევაში იგივე მდგომარეობაა, რამაც დადებითად იმოქმედა მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციისა და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებზე. ლიკვიდურობის პირველი ორი კოეფიციენტი კი ძირითადად დასაშვებ ნორმაზე საკმაოდ მაღალია, რაც განპირობებულია დებიტორული დავალიანების ზრდის დინამიკით და თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობით.

ფინანსური მდგომარეობის, მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებების ანალიტიკური მახასიათებლები 2019-2023 წლებში

ცხრილი 2

მაჩვენებლები	2019	2020	2021	2022	2023
1. წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	10,611	(18,007)	21,831	31,387	25,189
დინამიკა (%)	100	-169,70	121,24	143,77	
2. წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	14,000	(31,913)	(17,913)	(8,584)	(14,886)
დინამიკა (%)	100	-227,95	-56,13	-47,92	
3. წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	14,000	16,000	10,000	-	7,728
დინამიკა (%)	100	114,29	62,5	-	
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (მლნ. ლარი)	59,596	28,138	40,062	55,502	74,740
5. ამონაგები (მლნ. ლარი)	67,997	35,228	66,830	85,774	98,067
დინამიკა (%)	100	51,80	189,70	128,34	
6. საოპერაციო მოგება/(ზარალი) (მლნ. ლარი)	(1,728)	(41,520)	22,364	25,512	23,561
დინამიკა (%)	100	2402,77	53,86	114,07	
7. წლის მოგება/(ზარალი) (მლნ. ლარი)	2,072	(36,716)	19,025	18,9917	26,404
დინამიკა (%)	100	-1772,0	51,81	99,82	
8. მიმდინარე აქტივები (მლნ. ლარი)	70,265	39,175	49,870	66,182	85,693
9. გრძელვადიანი აქტივები (მლნ. ლარი)	373,874	363,322	378,703	344,537	351,839
10. სულ საკუთარი კაპიტალი (მლნ. ლარი)	295,905	259,559	278,599	310,632	352,969
11. სულ ვალდებულებები (მლნ. ლარი)	148,334	142,938	149,974	100,087	84,563
12. სულ აქტივები (მლნ. ლარი)	444,239	402,497	428,573	410,719	437,532
ფულადი ნაკადების გამოყენების კოეფიციენტები					
საფინანსო და საოპერაციო ნაკადების კოეფიციენტი (სტრ.3/სტრ.1)	1,31	-0,89	0,46	-	0,31
საოპერაციო ნაკადების გენერირების კოეფიციენტი (სტრ.1/სტრ.1+სტრ.2+სტრ.3)	0,27	0,53	1,56	1,37	1,41

ცხრილი 2-ის გაგრძელება

ფულადი ნაკადების მარჯის კოეფიციენტი (სტრ.1/სტრ. 5)	0,15	-0,51	0,32	0,36	0,26
წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტი (სტრ.4/სტრ.7)	28,76	-0,76	2,10	2,92	0,76
რენტაბელობის კოეფიციენტები					
გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ. 6 ან 7/ სტრ.5)	0,03	-1,04	0,28	0,22	0,27
აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.12)	0,005	-0,091	0,044	0,046	0,06
კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი (სტრ.7/სტრ.10)	0,007	0,141	0,068	0,061	0,075
საქმიანი აქტიურობის, ანუ ბრუნვალობის კოეფიციენტები					
მიმდინარე აქტივების ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.8)	0,97	0,90	1,34	1,30	1,14
ფიქსირებული აქტივების ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.9)	0,18	0,10	0,18	0,25	0,28
საკუთარი კაპიტალის ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.10)	0,23	0,14	0,24	0,28	0,28
მოზიდული კაპიტალის ბრუნვალობა (სტრ.5/სტრ.11)	0,46	0,25	0,46	0,86	1,16

წყარო: SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება (2019- 2023 წლები)

როგორც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მონაცემებიდან ჩანს წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება გარდა 2020 წლისა. წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან ხუთწლიან მონაკვეთში შემცირების ტენდენციით ხასიათდება განსაკუთრებით 2020 წელს, თუმცა შემცირების დინამიკა დადებითია. რაც შეეხება წმინდა ფულად სახსრებს საფინანსო საქმიანობიდან 2022 წელს ამ მუხლში ცვლილება არ მომხდარა, ხოლო დანარჩენ წლებში როგორც ზრდის, ისე შემცირების ნიშნულებს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად ჩვენს მიერ გაანგარიშებული **ფულადი სახსრების გამოყენების ოთხი კოეფიციენტიც** შესაბამისობაშია ზემოთაღნიშნულთან. რაც შეეხება **რენტაბელობისა და ბრუნვაობის მაჩვენებლებს**, ამ შემთხვევაშიც დინამიკა ან მერყევა ან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა სიდიდეთა ნიშნულები სამოქალაქო ავიაციის დარგისათვის დამახასიათებელი საზღვრების ფარგლებშია.

მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების შესახებ ანგარიშგებების მონაცემებიდან ჩანს, რომ **ამონაგები (საექსპლუატაციო შემოსავალი)** 2019-2023 წლებში ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მკვეთრი ჩავარდნა იყო 2020 წელს. ხოლო, რაც შეეხება **წლის მოგების** სიდიდეს მისი დინამიკაც შემოსავლების ანალოგიურია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგების მონაცემები გვიჩვენებს, რომ კოვიდ-19 პერიოდში მიღებულმა ზარალმა შეამცირა შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ კაპიტალის სიდიდე. ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარება (თელავის აეროპორტის, მესტიის აეროპორტის ახალი ტერმინალისა და ქუთაისის აეროპორტის ახალი ასაფრენ-დასაფრები ბილიკისა და აეროდრომის მშენებლობა) სამომავლოთ ამ სიდიდეს აუცილებლად გაზრდის.

თუ შევაჯამებთ გაანალიზებულ მასალას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ ფინანსური მდგომარეობა მისი ფინანსური შედეგების მიხედვით 2019-2023 წლებში დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან აეროპორტები ვითარდება, როგორც ინფრასტრუქტურულად, ისე საქმიანობის მიხედვითაც.

საკუთარი ტრანსპორტი საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ბოლო 15-20 წლის განმავლობაში ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მოდერნიზაციისა და ეროვნული ავიაკომპანიების ტვირთ და მგზავრგადაზიდვების მოცულობის ზრდის მიმართულებით. თუმცა, ლიბერალური მიდგომებიდან გამომდინარე, უცხოური ავიაკომპანიების წილი ქართულ ავიაბაზარზე მაღალია და 90%-ზე მეტს შეადგენს. გარდა ამისა, კოვიდ-19 პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა საავიაციო სექტორს, თუმცა შემდგომ პერიოდში

ეს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და ბოლოდროინდელი მაჩვენებლების ნიშნულები ბევრად აღემატება კოვიდამდელ პერიოდის სიდიდებს.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი ანალიზის შედეგების მიხედვით ჩამოვყალიბეთ შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ უკეთეს გახდის გაერთიანებული აეროპორტების ფინანსურ შედეგებს და აამაღლებს მის ფინანსურ მდგრადობას. შესაბამისად, უნდა:

- **დადგინდეს** ეროვნული ავიაკომპანიების არაკონკურენტუნარიანობა საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის საფუძველზე შუა სატრანსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობის ასამაღლებლად;
- **განხორციელდეს** აეროპორტებში მარკეტინგული ანალიზის თანამედროვე მეთოდების დანერგვა არსებული გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდოლოგიური აპარატის სრულყოფისა და პროგნოზირებისთვის;
- **შემუშავდეს** გადაყვანილი მგზავრებისა და გადაზიდული ტვირთის მოცულობის ამსახველი ოპტიმიზაციის მოდელები, რის საფუძველზეც მიღებულ იქნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი;
- **შესუსტდეს** უცხოურ ავიაკომპანიებთან კონკურენტული ბრძოლა ეროვნული ავიაკომპანიების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და **მოხდეს** მათთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის ალიანსებში ჩართვა;
- **გაგრძელდეს** მუშაობა საჰაერო კომერციული გადაყვანა-გადაზიდვების ორგანიზაციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის საკითხებზე საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

ლიტერატურა

1. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. თბ., გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2021.
2. ბ. ბოლქვაძე. ფინანსური მენეჯმენტი. ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინივერსიტეტის“ გამომცემლობა, 2018.
3. Peter Atril. FINANCIAL MANAGEMENT FOR DECISION MAKERS. Pearson, Ninth Edition, 2020.
4. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2019 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/10503>
5. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2020 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/27961>
6. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2021 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/35884>
7. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2022 <https://reportal.ge/ka/Reports/GetFile/47334>,
8. SARAS - შპს „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ფინანსური ანგარიშგება, 2023 <file:///C:/Users/USER/Downloads/2023%20ფინ.%20ანგარიშგება%20აეროპ.%20გაერთიანება.pdf>

Analysis of the financial results of “United Airports of Georgia” LLC for 2019-2023 and their impact on the main characteristics of financial sustainability

Tinatini Doliashvili

Abstract

The organizational structure of a business entity's financial management is a set of services and financial information flow channels arranged in a certain manner, which, based on the results of the financial analysis, ensures the adoption of optimal managerial decisions and their operational implementation. Accordingly, when analyzing the financial situation, it is necessary to use a set of special analytical tools that will make it possible to identify and assess the financial health and financial illness of the business entity. For this, we use the following main groups of financial ratios, or indices: liquidity, financial stability, profitability, business activity and cash flow ratios - indices. Based on the analysis of the financial statements of United Airports of Georgia LLC for a five-year period, we can conclude that the financial sustainability of the business entity according to its financial results in 2019-2023 is satisfactory, since the airports are developing both in terms of infrastructure and activity.

Keywords: airport, financial resources, liquidity, financial stability, profitability, business activity and cash flow ratios.